

# ვოთერსპრაიტის კინოფესტივალი

განცხადებები მიიღება 2018 წლის ვოთერსპრაიტის კინო დაჯილდოვებისთვის.

კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო: „ვოთერსპრაიტის“ კინოფესტივალი ისევ მზადაა მსოფლიო მასშტაბით მიიღოს კინორეჟისორ სტუდენტთა განცხადებები.

2017 წელს 300-ე მეტი განცხადება იქნა მიღებული 40 ქვეყნიდან, ნომინირებული რეჟისორები უფასოდ დაესწრნენ ფესტივალს. ვიმედოვნებთ, რომ 2018 წლისთვის მონაწილეთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება და ფესტივალი კიდევ უფრო ნაყოფიერად ჩატარდება.

**კონკურსი ღიაა ყველა ფილმისთვის, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 20 წუთს და რომელიც გადაღებულია სტუდენტის მიერ. კონკურსში მონაწილეობის მიღება უფასოა.**

მეტი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ შეხვიდეთ აღნიშნულ ლინკზე:

<https://www.watersprite.org.uk/submissions-guidelines-2018/>

„ვოთერსპრაიტის“ მთელი ფილოსოფია აგებულია შემდეგ პრინციპზე: რეჟისორებს უნდა დაუფასდეთ თავიანთი მძიმე შრომა, იმის მიუხედავად, თუ საიდან არიან ისინი.

იმ შემთხვევაში, თუ გამოგზავნილი ფილმი დასახელდა რომელიმე ნომინაციაში, 2018 წლის თებერვალში მონაწილე უფასოდ გაემგზავრება კემბრიჯში, გაერთიანებულ სამეფოში „ვოთერსპრაიტის“ კინოფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიაზე დასასწრებად. ჯილდოები გაიცემა მრავალ ნომინაციაში.

**„მომავლის რეჟისორი“-ს** ნომინაციაში გამარჯვებული სტუდენტი კინორეჟისორი კი გაემგზავრება კანის პრესტიჟულ კინოფესტივალზე პროდიუსერების ვორქშოპში მონაწილეობის მისაღებად.

„ვოთერსპრაიტი 2018“ არის უნიკალური შანსი სტუდენტებისთვის გაარღვიონ ბარიერი და წარმატებას მიაღწიონ კინო ინდუსტრიაში.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2017 წლის 15 ოქტომბერი. უმჯობესია მოხდეს ფილმების გამოგზავნა რაც შეიძლება სწრაფად, რადგან 500 განაცხადის შემოსვლის შემთხვევაში განაცხადების მიღება წყდება.

**პიეტრო ნოველო (იტალია), 2017 წლის „მომავლის რეჟისორი“-ს ნომინაციის გამარჯვებული ამბობს:**

„ამ ფესტივალმა მე მომცა მოტივაცია და გამიჩინა იმის რწმენა, რომ შემძლია გავაკეთო უფრო მეტი ჩემი ოცნებების ასახდენად.“

**ჰილარი ბევან ჯონსი, ფესტივალის თავმჯდომარე და BAFTA-ს ყოფილი თავმჯდომარე ამბობს:**

„ძალიან ამაყი ვარ „ვოთერსპრაიტის“ თავმჯდომარეობით. ფესტივალმა დაამტკიცა, რომ მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოადგენს შუქურას დამწყები რეჟისორებისთვის. არსებობენ ისეთებიც რომლებსაც მანამდე არასოდეს ჰქონიათ შესაძლებლობა ემოგზაურათ. სტუდენტური ფილმების წარმოუდგენელი მრავალფეროვნება და კულტურული მიქსი თავს იყრის ულამაზეს ქალაქ კემბრიჯში, სადაც მონაწილეებს ექნებათ არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მოუსმინონ გამომსვლელებს, დაესწრონ ვორქშოპებს, კინოჩვენებებს, დაამყარონ ახალი კრეატიული კავშირები. „ვოთერსპრაიტი“ წარმოადგენს პლაცდარმს ახალგაზრდა ტალანტებისთვის.

**ვოთერსპრაიტის შესახებ:**

„ვოთერსპრაიტი“ წარმოადგენს საერთაშორისო კინო კონკურსს და ფესტივალს, რომელიც ყურადღებას იპყრობს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი დაფუძნდა ქალაქ კემბრიჯში, გაერთიანებულ სამეფოში და უკვე მერვე წელია რაც ტარდება. წლიდან წლამდე იზრდება მონაწილეობის მსურველთა რიცხვი. მოწვეულ სპიკერებს შორის იყვნენ ისეთი ადამიანები როგორებიც არიან: ედი რედმანი, ოლივია კოლმანი, ლენი ჰენრი.

მეტი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ ესტუმროთ ჩვენს ოფიციალურ გვერდს:

[www.watersprite.org.uk](http://www.watersprite.org.uk)

ხოლო დამატებითი კითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე:

[will.tilbrook@watersprite.org.uk](mailto:will.tilbrook@watersprite.org.uk)